

შპს “მასა ჰოლდინგი”

2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6


შპს "მასა ჰოლდინგი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	4 030 752	2 855 207	1 373 714
არამატერიალური აქტივები	5	13 720	7 005	7 813
გრძელვადიანი ინვესტიციები	6	15 616 039	15 615 339	15 819 179
სულ გრძელვადიანი აქტივები		19 660 512	18 477 552	17 200 707
სასაქონლო მარაგები	7	640 992	703 902	646 573
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	578 385	2 107 273	1 417 312
სხვა მოკლევადიანი აქტივები	9	30 369 152	26 419 867	19 374 680
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1 319 316	3 381	435 375
სულ მოკლევადიანი აქტივები		32 907 845	29 234 424	21 873 940
სულ აქტივები		52 568 357	47 711 975	39 074 647
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		3 120 000	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 120 000	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	8 352 920	9 434 863	10 476 643
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		149 469	315 841	48 267
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8 502 389	9 750 704	10 524 910
სულ ვალდებულებები		11 622 389	9 750 704	10 524 910
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3 542 270	3 514 708	3 311 572
გაუნაწილებელი მოგება		22 065 508	19 931 670	14 541 989
სხვა რეზერვები		3 400	3 400	3 400
სულ კაპიტალი		25 611 178	23 449 777	17 856 962
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		25 611 178	23 449 777	17 856 962
არამაკონტროლებელი წილი		15 334 789	14 511 493	10 692 776
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		52 568 357	47 711 975	39 074 647

შპს "მასა ჰოლდინგი"-ს

დირექტორი: პავლე მაღრაძე




შპს "მასა ჰოლდინგი"

კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები	11	439 330	2 822 602
ამონაგების თვითღირებულება		(383 267)	(228 168)
საერთო მოგება		56 063	2 594 434
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(598 866)	(321 679)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	13	4 929 253	4 820 179
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	14	(1 313 711)	2 228 208
მოგება დაბეგვრამდე		3 072 739	9 321 143
მოგების გადასახადი		(30 246)	(31 096)
წმინდა მოგება/ზარალი		3 042 493	9 290 047
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1 370 573	4 647 241
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		1 671 920	4 642 806
მოგება/ზარალი		3 042 493	9 290 047

შპს "მასა ჰოლდინგი"-ს

დირექტორი: პავლე მაღრაძე



შპს "მასა ჰოლდინგი"

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტროლებ ელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 31/12/2019	3 311 572	14 545 389	17 856 962	10 692 776	28 549 737
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	221 902	-	221 902	-	221 902
გაცემული დივიდენდები	-	(100 416)	(100 416)	-	(100 416)
პერიოდის მოგება	-	4 647 241	4 647 241	4 642 806	9 290 047
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-	-	-
ნაშთი - 31.12.2020	3 533 474	19 092 215	22 625 689	15 335 581	37 961 270
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(0)	-	(0)	-	(0)
გაცემული დივიდენდები	-	(56 568)	(56 568)	-	(56 568)
პერიოდის მოგება	-	1 370 573	1 370 573	1 671 920	3 042 493
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1 227)	-	(1 227)	-	(1 227)
ნაშთი - 31.12.2021	(1 227)	1 314 005	1 312 777	15 335 581	40 945 967

შპს "მასა ჰოლდინგი"-ს

დირექტორი: პავლე მაღრაძე

შპს “მასა ჰოლდინგი”

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “მასა ჰოლდინგი” შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 02/10/2017). ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 55, ბინა 14.

შპს “მასა ჰოლდინგი” ჰოლდინგური მშობელი საწარმოა, რომელიც ფლობს რამდენიმე კომპანიას, და მისი ძირითადი საქმიანობაა შვილობილი იურიდიული პირების მენეჯმენტი და მართვა.

კომპანიის დირექტორი: პავლე მაღრაძე (პ/ნ 01008018126)

06/12/2017-დან შპს “მასა ჰოლდინგი” ხდება 50%-იანი წილის მფლობელი შპს „აიემდი“-ს (ს/კ 405203462), ხოლო 2019 წლის 04 დეკემბრიდან 100%-იანი წილის მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 25/04/2017) ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 10, სართული 5, ბინა N 25.

შპს შპს „აიემდი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2019 წლის 29 ნოემბრიდან შპს “მასა ჰოლდინგი” ხდება 50%-იანი წილის მფლობელი შპს „ინჟინერთა ჯგუფი“-ს (ს/კ 400101457), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 10/10/2013) ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სააკაძის დაღმართი, N11.

შპს „ინჟინერთა ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2019 წლის 29 ნოემბრიდან შპს “მასა ჰოლდინგი” ხდება 100 %-იანი წილის მფლობელი შპს შპს „მასა ინვესტ“-ის (ს/კ 405203426), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 25/04/2017) ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დაღმართი გიორგი სააკაძე N 11.

შპს „მასა ინვესტ“-ი ფლობს 50%-იან არამაკონტროლებელ წილს შპს „თეთრ ხიდში“ ს/კ 412701900.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	2021	2020	2019
1 აშშ დოლარი/ლარი	3,0976	3,2766	2,8677
1 ევრო/ლარი	3,5040	4.0233	3,2095

ამონაგების აღიარება

ამონაგები, საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ს/კ 405230628

3. ცვლილებები წარდგენაში

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებული შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	კორექტირება / რეკლასიფიკაცია	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	415 764	341 561	74 203	კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	19 374 680	19 449 243	(74 563)	კორექტირება
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	15 819 179	14 158 368	1 660 811	კორექტირება
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	1 995 323	(1 995 323)	კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	10 476 643	346 441	10 130 202	რეკლასიფიკაცია
სხვა ვალდებულებები	48 267	10 178 469	(10 130 202)	რეკლასიფიკაცია
კაპიტალი	3 311 572	3 646 117	(334 545)	კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	14 541 989	25 231 692	(10 689 703)	კორექტირება
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	3 400	6 800	(3 400)	კორექტირება

კორექტირებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 027 845	2 047 369	(19 525)	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	79 428	46 121	33 308	კორექტირება
სხვა	703 902	704 074	(171)	კორექტირება
სხვა მოკლევადიანი აქტივები	26 419 867	26 453 003	(33 136)	კორექტირება
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	15 615 339	11 679 449	3 935 891	კორექტირება
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	1 995 323	(1 995 323)	კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	9 434 863	410 801	9 024 062	კორექტირება
სხვა ვალდებულებები	312 936	9 356 523	(9 043 587)	კორექტირება
კაპიტალი	3 514 708	1 592 940	1 921 768	კორექტირება
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	3 400	6 800	(3 400)	კორექტირება
სხვა საოპერაციო შემოსავალი	55 196	74 044	(18 848)	კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(60 209)	(62 993)	2 783	კორექტირება
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(117 267)	(114 502)	(2 765)	კორექტირება
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	2 516 939 (343 926)	2 516 957 (362 774)	(18) 18 848	კორექტირება კორექტირება

ს/კ 405230628

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები
პერიოდი 01/01/2019	940 852	336 329	83 256	-	-
შემოსვლა	-	112 259	28 406	-	-
ცვეთა	-	(91 031)	(15 481)	-	-
ჩამოწერა	-	(5 586)	(15 290)	-	-
პერიოდი 31/12/2019	940 852	351 971	80 891	-	-
პერიოდი 01/01/2020	940 852	351 971	80 891	-	-
შემოსვლა	-	172 574	16 937	1 789 166	-
ცვეთა	-	(115 722)	(19 462)	-	-
ჩამოწერა	(362 000)	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2020	578 852	408 823	78 366	1 789 166	-
პერიოდი 01/01/2021	578 852	408 823	78 366	1 789 166	-
შემოსვლა	129 343	9 915	93 716	1 106 170	61 069
ცვეთა	-	(83 786)	(24 351)	-	(1 489)
ჩამოწერა	-	(114 621)	(421)	-	-
პერიოდი 31/12/2021	708 195	220 331	147 310	2 895 336	59 580

5. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამები	პატენტი
პერიოდი 01/01/2019	-	-
შეძენა	8 076	-
ამორტიზაცია	(263)	-
პერიოდი 31/12/2019	7 813	-
პერიოდი 01/01/2020	7 813	-
შეძენა	-	-
ამორტიზაცია	(808)	-
პერიოდი 31/12/2020	7 005	-
პერიოდი 01/01/2021	7 005	-
შეძენა	-	7 522
ამორტიზაცია	(808)	-
პერიოდი 31/12/2021	6 198	7 522

6. გრძელვადიანი ინვესტიციები

	2021	2020	2019
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	15 616 039	15 615 339	15 819 179
სულ	15 616 039	15 615 339	15 819 179

7. სასაქონლო მარაგები

	2021	2020	2019
ნედლეული და მასალები	449 294	337 532	232 090
დაუმთავრებელი წარმოება	-	3 740	243 305
სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგი	191 698	362 630	171 178
სულ	640 992	703 902	646 573

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	142 563	2 027 845	1 001 547
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	435 822	79 428	415 764
სულ	578 385	2 107 273	1 417 312

9. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	2021	2020	2019
გადახდილი ავანსი	129,64	25 304	298 305
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	18 024 314,50	13 647 048	7 412 995
საგადასახადო აქტივი	643 018,24	337 331	667 913
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	11 510 273,83	12 047 555	10 826 699
სამშენებლო მასალები	191 137,45	362 629	168 769
სხვა აქტივები	278,21	-	-
სულ	30 369 152	26 419 867	19 374 680

10. სავაჭრო ვალდებულებები

	2021	2020	2019
წილის შესყიდვიდან წარმოშობილი გრძელვადიანი ვალდებულება	8 002 282	9 024 052	10 130 202
სავაჭრო ვალდებულება	350 638	410 811	346 441
სულ	8 352 920	9 434 863	10 476 643

11. ამონაგები

	2021	2020
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	-	38 000
ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებიდან	143 137	1 758 638
სხვა	296 192	1 025 964
სულ	439 330	2 822 602

12. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	(344 070)	(60 209)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(110 433)	(135 992)
იჯარის ხარჯი	(409)	(8 211)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(143 954)	(117 267)
სულ	(598 866)	(321 679)

13. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	4 929 253	4 820 179
საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ	4 929 253	4 820 179

14. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2021	2020
საკურსო სხვაობა	(1 485 328)	2 516 939
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	171 618	(288 730)
სულ	(1 313 711)	2 228 208

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს “მასა ჰოლდინგი”-ს

დირექტორი: პავლე მაღრაძე

